

# თვალსაზრისი OPINION

მერაბ ლალანძე  
საქართველოს უნივერსიტეტი

## პაპი ჰრომისა, – სასურველი მწირველი მეფე დავითისათვის, – „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში

“ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები შესამჩნევი მრავალფეროვნებით ხასიათდება და ისინი ერთმანეთისაგან, – ტექსტის მოცულობის თუ შინაარსის მხრივ, – მეტ-ნაკლებად განსხვავდება, თუმცა, ამ კუთხით, განსაკუთრებულად გამოირჩევა პოემის პროლოგი, რომლის ავტორობა, შედგენილობა, სტროფების თანამიმდევრობა, ცალკეული ფრაზების გამართვა ტექსტის მკვლევართათვის თითქმის გადაუწყვეტელ თავსატეხს წარმოადგენს<sup>1</sup>. “ვეფხისტყაოსნის” კვლევათა ისტორიაში თვალშისაცემია არაერთი შემთხვევა, როცა პოემის თვით ერთი და იგივე შემსწავლელიც კი პროლოგის შესახებ რომელიმე საკუთარი შეხედულების შემუშავებიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ახალ, მაგრამ ადრინდელისგან სრულიად განსხვავებულ შეხედულებას წარმოადგენდა. მყარად ჩამოყალიბებული ან საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი, თუ ვინ უნდა იყოს ავტორი პოემის წინათქმის ამ ორმოცამდე ან ორმოცზე მეტი სტროფისა, – თუნდაც ცალ-ცალკე, თუნდაც ჯგუფურად, თუნდაც მთლიანად, – ანკი, როგორ უნდა განისაზღვროს მათი თანამიმდევრობა და როგორ უკავშირდება ისინი თვით “ვეფხისტყაოსნის” ტექსტს, არც შემუშავებულა და ჯერჯერობით არც შესაძლებლად ჩანს, რომ არსებული მწირი წყაროების საფუძველზე ადვილად და დარწმუნებით შემუშავდეს.

ღირსშესანიშნავია, რომ პოემის რამდენიმე ძველი ხელნაწერი შეიცავს პროლოგის ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ-გადაბმულ სტროფს, – ტექსტის თითქმის დასაწყისშივე, – რომლებიც “ვეფხისტყაოსნის” კვლევათა ისტორიის განმავლობაში (მოკიდებული

<sup>1</sup> ვრცლად: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, წგ-ში: სარგის ცაიშვილი, *წერილები და გამოკვლევები*, I, თბ.: მეცნიერება, 1984, გვ. 3-338; სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები”, იქვე, გვ. 339-547.

ნაწარმოების პირველი – ვახტანგისეული – გამოცემიდან, 1712) არასოდეს ყოფილა მიღებული ავტორისეულ ტექსტად, არამედ მიჩნეული იყო გვიანდელ ჩანართად, რის გამოც ეს ორსტროფედი შესულია თხზულების მხოლოდ სრული ტექსტის, – ჩანართიან და დანართიან, – გამოცემებში. შესაბამისად, მეოცე საუკუნეში დაბეჭდილ “ვეფხისტყაოსნის” მრავალრიცხოვან გამოცემათა შორის ის მხოლოდ ორ მათგანშია შეტანილი (1956 წლისა<sup>2</sup> და 1961 წლისა<sup>3</sup>). შემდგომ, მიმდინარე საუკუნეში, ორივე ეს სტროფი გამოქვეყნდა კიდევ ორჯერ, როცა ისინი დაიბეჭდა პოემის ამგვარსავე სრულ გამოცემებში (2006 წლისა<sup>4</sup> და 2014 წლისა<sup>5</sup>). ოთხივე ეს გამოცემა<sup>6</sup> მიზნად ისახავს “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერთა მონაცემების სრულად ასახვას: მათში განხორციელდა მცდელობა, გარდა ცალკეულ ხელნაწერთა წაკითხვების განსხვავებულობათა ჩვენებისა, შეკრებილიყო და გამოქვეყნებულიყო უკლებლივ ყველა სტროფი, რომლებიც მოიპოვება თხზულების სხვადასხვა ნუსხაში. ჩამოთვლილი გამოცემები არ ემსახურება საჯარო მკითხველს, – ისინი საგანგებოდ სამეცნიერო გამოცემებია, რომლებიც გამოქვეყნდა კვლევითი დანიშნულებით და განკუთვნილია აკადემიური მიზნებისათვის.

- 2 ვეფხისტყაოსანი: ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956, გვ. 1.
- 3 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, გვ. 2-3.
- 4 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: დანართებიანი და ჩანართებიანი ტექსტი, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, თბ.: კავკასიური სახლი, 2006, გვ. 1-2 (ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნის მეორე ნაწილში, ხელახალი პაგინაციით); წიგნი, ფაქტობრივად, წარმოადგენს აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით 1966 წელს გამოქვეყნებული პოემის სამეცნიერო გამოცემის საბოლოო, სრულ ვერსიას, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ორი ტომის მოცულობით, მაგრამ 1966 წელს გამოიცა ტექსტის მხოლოდ პირველი ტომი, – ჩანართებისა და დანართების გარეშე: ვეფხისტყაოსანი: ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, 1: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: ტექსტი და ვარიანტები, თბ.: მეცნიერება, 1966; ამდენად, ამ ტომში არაა შესული – და, რედაქტორთა თვალსაზრისისა თუ ჩანაფიქრის გათვალისწინებით, ვერც შევიდოდა – ეს ორსტროფედი.
- 5 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩანართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2014, გვ. 21-22; გამოცემა წარმოადგენს “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ 1960-იანი წლების დასაწყისიდან 1980-იანი წლების მიწურულამდე მომზადებულ მასალას, რომელშიც სრულადაა ასახული ყველა ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში არსებული ვარიანტები.
- 6 უცნაურია, რომ ორსტროფედი შეტანილი არაა გამოცემაში: ვეფხისტყაოსანი: ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო სოლომონ იორდანიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948.

ამდენად, ეს სტროფები თვით პოემის შემსწავლელთა შორისაც კი მხოლოდ ერთეულ მკვლევართათვისაა ცნობილი, – მხოლოდ მათთვის, ვისაც პოემის სრულ ტექსტზე საგანგებოდ უმუშავია.

ზემორე დასახელებული ყველა იმ გამოცემის გათვალისწინებით, რომლებშიც ასახულია ყველა ხელნაწერში წარმოდგენილი სურათი, პოემის პროლოგის ქვემოთ ორი სტროფს<sup>7</sup>, – წყაროების მონაცემთა შესწავლის, ტექსტის დადგენისა და გააზრების შედეგად<sup>8</sup>, – ამგვარი სახე უნდა ჰქონდეს:

შენ შეჰქმენ დავით მალალი, თვით მეფე დავითიანად,  
გონება დიდად მოწყალე, მართ ერთ გულმოწყალიანად,  
მნათობი ყოვლთა მხედველთა, ვითა მთა სანათიანად,  
და უმისოდ მზეცა ვერ ნათობს, ვერც ლომი ნაკვეთიანად.  
გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გაქვს, სკიპტრა პირველი,  
ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი.  
შენად სამონოდ მეფენი მოვლენ, სხვაგანისა მირველი,  
და კამს, თუმცა პაპი ჰრომისა რომ შენთვის იყო მწიროველი.

ორივე ეს სტროფი – უცვლელი თანამიმდევრობით – დაცულია “ვეფხისტყაოსნის” შემდეგ ნუსხებში<sup>9</sup>:

1. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი K 205, რომელიც თარიღდება 1680-იანი წლებით;

2. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ახალი ფონდის ხელნაწერი Q 261, რომელიც თარიღდება მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულით;

3. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის ხელნაწერი S 4527, რომელიც თარიღდება 1805 წლით;

4. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერი 10768/191, რომელიც თარიღდება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით;

5. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი K 252999/2, რომელიც თარიღდება 1860 წლით.

7 სტროფები ამგვარადაა დანომრილი: 1956 წლის გამოცემაში – 2<sup>1</sup>-2<sup>2</sup>; 1961 წლის გამოცემაში – 2<sup>1</sup>-2<sup>2</sup>; 2006 წლის გამოცემაში – 4-5; 2014 წლის გამოცემაში – 1,1-1,2.

8 წაკითხვათა არჩევანისას უპირატესობა მიენიჭა უძველეს – მეჩვიდმეტე საუკუნის – ხელნაწერთა მონაცემებს.

9 “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები ერთიანად და დაწვრილებით აღწერილია: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები”, გვ. 366-521; ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა (ფოტოებით): შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 281-339.

პომის პროლოგი, თავისთავად, ყველაზე მეტადაა დაზიანებული ხელნაწერებში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, საერთოდ, არ შეიცავს იმ საწყის გვერდებს, სადაც ის უნდა ყოფილიყო მოთავსებული (თუმცა არსებობს ნუსხებიც, რომლებიც შეიცავს პროლოგს, მაგრამ ამ ორსტროფედის გარეშე, – ისევე როგორც პროლოგის სხვა სტროფების შემთხვევისას, როცა ზოგიერთი მათგანი ზოგან გამორჩენილია ან გამოტოვებულია)<sup>10</sup>.

ამასთანავე, მართალია, “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერთა დაჯგუფება-კლასიფიკაცია თუ ცალკეული ხელნაწერის დათარიღება დღემდე საკამათო საგანია და საბოლოოდ დადგენილად ვერ მიიჩნევა, მაინც შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის ნუსხები, რომლებშიც შენარჩუნებულია ეს ორსტროფედი, უძველეს და საუკეთესოდ შენახულ ცალეებს წარმოადგენს. ისიც აღსანიშნავია, რომ არცერთი ამ ხუთ ხელნაწერთაგან (განსხვავებით ხელნაწერთა უმრავლესობიდან) არ წარმოადგენს გადანაწერს ვახტანგისეული პირველნაბეჭდი გამოცემიდან (1712) და ნამდვილად ასახავს ტექსტის ძველ ტრადიციას.

როგორც ჩანს, პროლოგის ეს ორი სტროფი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ თავის ნარკვევში “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ “საისტორიო მოამბის” პირველ გამოშვებაში, 1924 წელს<sup>11</sup>. რამდენიმე წლის შემდეგ, 1927 წელს, ორთაგან მხოლოდ მეორე სტროფი დაიბეჭდა იმავე სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემულ “ვეფხისტყაოსანში”<sup>12</sup>. აღსანიშნავია, რომ კაკაბაძისეულ უფრო ადრეულ, 1913 წლის გამოცემაში, რომელიც პომის ჩანართიან-დანართიან და, საერთოდ, პირველ სრულ გამოცემას წარმოადგენს, ეს ორსტროფედი ნახსენებიც კი არსადაა<sup>13</sup>.

10 პროლოგის მდგომარეობა ხელნაწერებში დაწვრილებით განხილულია: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, გვ. 169-195; იქვე, გვ. 172: “პროლოგის რედაქციულ დახასიათებას უეჭველად ართულებს ის გარემოება, რომ პომის ეს ნაწილი ხელნაწერებში თითქმის ყველაზე უფრო დაზიანებულია. უფრო მეტიც, მოიპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია მათ პროლოგს”.

11 სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, *საისტორიო მოამბე*, 1, 1924, გვ. 127; ნარკვევში სტროფები ამგვარადაა დანომრილი: 4-5; ორივე სტროფის წინ მინაწერია: “(უცნობი)”.

12 *ვეფხისტყაოსანი*: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, ტფ., 1927, გვ. XI.

13 რისი მიზეზიც, როგორც ჩანს, უნდა იყოს ის გარემოება, რომ კაკაბაძეს, როგორც თავად ჩივის გამოცემის წინასიტყვაობაში, არ მისცეს საშუალება, გასცნობოდა სხვადასხვა ქართულ საცავებში დაცულ “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებს: *ვეფხისტყაოსანი*, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფ., [1913], გვ. 3; მიუხედავად ამისა, რედაქტორისეული გვიანდელი (1927) განცხადებით, “[1913 წლის] გამოცემა შეიცავს ვ.-ტყაოსნის სრულს ტექსტს ხელნაწერების მიხედვით, გაგრძელებით და ყველა ნართაულ ტაპით” – *ვეფხისტყაოსანი*: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გვ. CXLIV.

რაც შეეხება ამ სტროფების შინაარსს, თანამედროვე ენაზე ის ამგვარად შეიძლება გადმოიციეს:

[ლმერთო,] შენი შექმნილია აღმატებული მეფე დავითი, დავითის შთამომავალი, რომელსაც ერთობლივ აქვს დიდად მოწყალე გონებაც და მოწყალე გულიც. ყველა მისი მხედველისათვის იგი მნათობია, როგორც განათებული, მოელვარე მთა, ხოლო მის გარეშე ვერც მზე იკაშკაშებს და ვერც ღომი [ივარგებს] ტანადობით.

[მეფეო,] შენ ფლობ გვირგვინს, ტახტს, პორფირსა და უპირველეს სკიპტრას. შენ ხარ დიდად მოწყალე ერთგულთა, ხოლო რისხვით აღავსე – ორგულთა მიმართ. იმისათვის, რათა შენ დავემორჩილონ, მოდიან მეფეები, რომლებიც სხვაგან, თავისთან ხელისუფალნი არიან. სასურველი იქნება, რათა რომის პაპმა შენთვის აღავლინოს წირვა.

საყურადღებოა ამ ორსტროფედისათვის საგანგებოდ მიჩენილი ადგილი მთელი პროლოგის სტრუქტურაში: მას შემდეგ, რაც თავიდანვე აღწერილია სამყაროს შემოქმედი ღმრთის ქმედებანი (“რომელმაც შექმნა სამყარო...”), ხოლო შემდგომ პოეტი მიმართავს ღმერთს (“ჰე, ღმერთო, ერთო...”), იგი ისევ განაგრძობს თავის მიმართვას, ოღონდ ამჯერად უზენაესი არსება წარმოჩენილია არა როგორც სამყაროსა და, საზოგადოდ, “ყოველი ტანის” “სახის” შემოქმედი, არამედ, როგორც, კერძოდ, ერთი მეფის – დავითის – შემქმნელი (“შენ შექმენ დავით მალალი”), – იმ მეფისა, რომელიც, ისევე როგორც ყოველი მეფე, ღმრთის შექმნილია და ღმრთის ასახვას წარმოადგენს.

თუ ორსტროფედის პირველ სტროფში ავტორი ღმერთს ემადლიერება მეფის შექმნისათვის და, შესაბამისად, იგი ისევ ღმერთს მიმართავს, მეორე სტროფი წარმოადგენს მიმართვას თავად ხელმწიფისადმი.

პოეტმა უწყის, რომ აღმატებული მეფე დავითი შექმნა ღმერთმა, რადგან, საერთოდ, “მისგან არს ყოვლი ხელმწიფე”, როგორც მანამდე ითქვა, მაგრამ მეფე დავითის განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა, ღმრთაებრივი ნიშანდება გამოიხატება მის დავითიანობაში, ანუ იმ გარემოებით, რომ მეფე დავითი, როგორც ბაგრატიონთა წარმომადგენელი, შთამომავალია ბიბლიური დავითისა, – თავისი თანამოსახელე დავითისა, რომელიც, წმიდა წერილის მიხედვით, ღმრთისაგან ნაკურთხი მეფეა<sup>14</sup>.

ამდენად, ორსტროფედის პირველი ტაეპის რელიგიურ-პოლიტი-

14 ქართველ ბაგრატიონთა ბიბლიურ დავითთან ნათესაობრივი კავშირის შესახებ – შესაბამის ქართულ წყაროთა ავტორისეული მიმოხილვა: მერაბ ლაღანიძე, “ბატონიშვილი ვახუშტი სამეფო წარწერათა გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის”, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXI, 2019, გვ. 120-123.

კური განზომილება ყურადღებას იპყრობს იმ ხანგრძლივი ტრადიციის კიდევ ერთხელ დამოწმებითა და დადასტურებით, რომელიც ბაგრატიონების სამეფო სახლს უკავშირებს დავითის, – ებრაელთა მეფის, წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის, – სახელს, მაგრამ კიდევ მეტი: რაკი ეს სიტყვები ეძღვნება ქართველთა მეფეს, დავითს, ამ შემთხვევისას ამგვარ დაკავშირებას თუ დროთა თანახმიერებას უფრო ცხადი და მეტყველი საყრდენი აღმოაჩნდა, რადგან კავშირი გამოიხატა უშუალო ერთიანობითაც ეპონიმთან, – ქართველი მეფე, რომელსაც ეძღვნება ეს სტროფები, ამჯერად თავისი ებრაელი წინაპრის სენიანა და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტად მონათესავეა სამეფო დინასტიის უძველეს წინამორბედთან: მეფე დავითი დავითიანია!

ავტორი აღნიშნავს – ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით – მეფის როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ პიროვნულ განზომილებას, და ორივე მხრივ იგი განსაკუთრებულად გამორჩეულია.

შემდგომ მეფე შედარებულია მნათობთან, რომელსაც ისევე ყველა ხედავს, როგორც მთაზე, მთის მწვერვალზე განათებულ ადგილს, რომელიც გარემოს შუქს ჰფენს. ამავე დროს, მეფე ისეთი მნათობია, რომელიც განაპირობებს სამყაროსეულ და დედამიწისეულ ცხოვრებას, რადგან ვერც ზეციურ სივრცეში ექნება ძალა მზეს უმისოდ და ვერ განათებს, და ვერც ხმელეთზე ივარგებს ლომი, მის გარეშე, – ტანადობით, ძალით, ძლიერებით. ამდენად, მეფე კოსმოსური და ბიოლოგიური ყოფნის განმსაზღვრელი პირობაა, – მზის ნათება და ცოცხალი არსების ძალმოსილება დამოკიდებულია მასზე, რადგან მათი არსებობის საფუძვლად გამოცხადებულია მეფე დავითის არსებობა.

მეფეს, როგორც ხელისუფალს, მოეპოვება ყველა სამეფო ნიშანი: ტახტი, რომელზეც იგი დაბრძანდება; გვირგვინი, რომელიც მას თავზე ადგას; უპირატესი სკიპტრა, რომელიც მას ხელთ უპყრია; პორფირი, რომლითაც იგი შემოსილია, – იგი სრულყოფილი მეფეა, აღჭურვილი სრული და კანონიერი ძალაუფლებით. მისი ძალაუფლება ორლესულია, რადგან ის მიმართულია სასიკეთოდ – მოყვარეთა მიმართ და საზიანოდ – მტერთა მიმართ, მაგრამ მისი ურთიერთობანი როგორც პირველებთან, ისე მეორეებთან გაწონასწორებული, სამართლიანი და პატიოსანია: ერთგულნი იღებენ მისგან დამსახურებულ მოწყალებას, ხოლო ორგულნი – დამსახურებულ სასჯელს. მას, როგორც ღმრთის მიწიერ სახეს, უფლება აქვს, დააჯილდოს თავდადებული ქვეშევრდომნი და დასაჯოს მუხანათი მოღალატეები.

მაგრამ მისი გავლენა და სახელი არ შემოიფარგლება მხოლოდ კუთვნილი სამკვიდროთი და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება, რადგან ის მეფეები, რომლებიც სხვაგან მეფობენ და თავიანთ ქვეყა-

ნათა ხელისუფალნი არიან, მოდიან მასთან, რათა საკუთარი ნებით შე-  
სთავაზონ მას საკუთარი მორჩილება<sup>15</sup>.

დაბოლოს, მეფის კოსმოსურ-პლანეტური განდიდება მთავრდება  
აღმატებული სურვილით, რომ საჭიროა, – მის მეფობას ეკუთვნის და  
შეეფერება, – რათა მეფე დავითის სახელზე საგანგებო წირვა ჩაატა-  
როს რომის პაპმა.

პროლოგის პირველი სტროფიდან დაწყებული მსჯელობა ღმრთის  
რაობის შესახებ და მეორე სტროფიდან დაწყებული მიმართვა ღმრთის  
მიმართ პროლოგის მეოთხე სტროფის ბოლოს მთავრდება დედამიწაზე  
ღმრთის წარმომადგენლის, რომის პაპის ხსენებითა და იმ იმედით, რომ  
მისეული წირვა ღმრთაებრივი მაღლით აღჭურავს მეფეს, თუნდაც  
ღმრთაებრივი წარმოშობისას, მაგრამ მაინც ადამიანს, ცოდვილს, და  
მას მიწიერ ცოდვათაგან გაწმენდს. როცა პოეტი წერს, რომ საჭიროა,  
რათა პაპმა აღავლინოს წირვა მეფე დავითისათვის, იგულისხმება,  
რომ იგი ამას არა მარტო საჭიროებს, არამედ სავსებით იმსახურებს.  
საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ავტორი სასურველად და შესაბამისად  
მიიჩნევს არა, ზოგადად, წირვის აღვლენას მეფის სულიერი ძალმოსი-  
ლების მოსაკრებად, რაც ნებისმიერ მღვდელმსახურს დაუბრკოლებ-  
ლივ შეუძლია აღასრულოს, არამედ ღმრთისმსახურება, მისი რწმენით,  
უნდა ჩაატაროს, ქრისტიან მღვდელმსახურთა შორის უმაღლესმა პი-  
რმა და, ზოგადად, ქრისტიანთა უზენაესმა სულიერმა მამამ – კათო-  
ლიკე ეკლესიის მეთაურმა, რითაც პოეტი გამოხატავს მეფე დავითის  
განსაკუთრებულ ადგილს, ღირებულებასა და მნიშვნელობას დედამი-  
წის მონარქთა შორის.

დასტურს ხელმწიფის ღმრთაებრივი წარმოშობის შესახებ, ასევე,  
შეხსენებას, რომ ქართველთა მეფე ენათესავება დავით წინასწარმე-  
ტყველს (რაც იმასაც ნიშნავს, რომ, თავის მხრივ, რაკი დავით მეფსა-  
ლმუნე იესო ქრისტეს წინაპარია, შესაბამისად, ბაგრატიონთა სამეფო  
შტოს წარმომადგენლებიც იესოს სისხლისმიერი ნათესავები არიან),  
ავგირგვინებს რომის პაპის, ქრისტეს მოსაყდრისა და ქრისტიანთა სა-  
ყოველთაო მწყემსის, მიერ საგანგებოდ მეფე დავითისათვის – თუნდაც  
წარმოსახულად, თუნდაც სასურველად – აღვლენილი საღმრთო ლი-  
ტურგია.

პროლოგის ორსტროფედს მოჰყვება სტროფები, რომლებიც ბუნებ-  
რივად, თანამიმდევრულად აგრძელებს პოეტის სათქმელს: თუ როგორ  
იმშვენებს იარაღის ტარებას ეს მეფე-ლომი (“ვის ჰშვენის, – ლომსა, –

15 ალექსანდრე გვახარიას თვალსაზრისით, “მირველი” არაბულ-სპარსული სამოხე-  
ლო ცნება უნდა იყოს და ნიშნავს მმართველს, მბრძანებელს: შოთა რუსთაველი,  
*ვეფხისტყაოსანი*: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩა-  
ნართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, გვ. 22.

ხმარება...”), რომლის მეუღლეა და რომლის მზეა (მეფის მზეა!) თამარი (“მეფისა მზის – თამარისა, ლაწვ-ბადანშ, თმა-გიშერისა...”), და კიდევ, რომ ქებას იმსახურებს თამარიც, რომელიც დასტირის მეფის დაღვრილ სისხლს (“თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული”), და სწორედაც ქებას ასხამს მოშაირე ხელმწიფეთ, – დავითის შემდგომ მის მეუღლეს თამარს (“თამარს ვაქებდეთ...”), – რომელთა საქებრადაც ევალება წერა პოეტს (“მიბრძანეს მათდა საქებრად...”).

რაც შეეხება ამ და მომდევნო სტროფებს, მათი გამოწვევილივითი შესწავლა, ისევე როგორც “ვეფხისტყაოსნის” მთელი პროლოგის სტრუქტურის დადგენა თუ შინაარსის განმარტება ცალკე, განსაკუთრებულ, საგანგებო კვლევასა და ამ კვლევის შედეგების ფართო განსჯას საჭიროებს.

ისევ ორსტროფედთან დასაბრუნებლად, უნდა ითქვას, რომ მსჯელობანი პოემის პროლოგის ამ მონაკვეთის ირგვლივ დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში “ვეფხისტყაოსნის” შესახებ უკიდურესად მწირია<sup>16</sup> და, ფაქტობრივად, არც სცდება სარგის კაკაბაძის ნარკვევების ფარგლებს, თუმცა მათშიც კი ამ ორ სტროფს მეტად მცირე ყურადღება ექცევა; სარგის ცაიშვილი მათ ასე – ჩაულრმავებლად – მოიხსენიებს: “ორი თავისებური ჩანართი”<sup>17</sup>; ყველაზე ვრცლად ამ ორსტროფედის შესახებ ნათქვამია “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური გამოცემის მასალების გამოქვეყნებულ ნაკვეთში<sup>18</sup>, თუმცა იქ მხოლოდ გადმოცემული და შეჯამებულია უკვე არსებული, მანამდე გამოქვეყნებული შეხედულებანი პროლოგის ამ ნაწილის შესახებ.

რაც შეეხება ორსტროფედის დათარიღებას, საკუთარი თვალსაზრისი თავდაპირველად გამოთქვა ისევ სარგის კაკაბაძემ, რომელიც 1924 წელს მიიჩნევდა, რომ ტექსტში ხსენებული დავითი უნდა იყოს მეფე დავით მეათე,

ხოლო თავად ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს დავით ქართლის მეფის († 1526 წ.) ხანას, რომელ მეფეს წინასიტყვაობაში მიძღვნილი აქვს ორ ნართაული ხანა [=სტროფი]<sup>19</sup>.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხედულება ნარკვევის ავტორს არა მა-

16 აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო ნაშრომში, რომელიც “ვეფხისტყაოსნის” პროლოგს ეძღვნება, – მერი გუგუშვილი, *ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის*, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958, – ეს ორი სტროფი, საერთოდ, არცაა ნახსენები, თუმცა ავტორი რამდენჯერმე გაკვირით მიუთითებს საკუთარი ნაშრომის ვრცელ, გამოუქვეყნებელ ვერსიასაც (გვ. 18, 27), რომლის შინაარსი გამოქვეყნებული ვერსიის მკითხველისათვის უცნობია.

17 სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, გვ. 185.

18 შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩანართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, გვ. 21-22.

19 სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, გვ. 165.



რტო არ დაუსაბუთებია ან განუვითარებია, არამედ მან ის გამოთქვა მხოლოდ გაკვრით, სასხვათაშორისოდ, რამე მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, თანაც, არა იქვე, სადაც, საერთოდ, პირველად გამოქვეყნდა ორსტროფედი, არამედ თავისი გამოკვლევის ბოლო მონაკვეთში, სადაც ავტორი “ვეფხისტყაოსანთან” დაკავშირებულ არაერთ სხვადასხვა საკითხზე მსჯელობს.

ნიშანდობლივია, რომ კაკაბაძემ მალევე შეცვალა თავისი თვალსაზრისი: სამი წლის შემდეგ, 1927 წელს, “ვეფხისტყაოსნის” მისეულ მეორე გამოცემაში, მკვლევარმა მიიჩნია, რომ მეფე დავითი, რომელსაც ეძღვნება ეს ორი სტროფი, არის მეფე დავით მეცხრე (კაკაბაძით – მერვე), გიორგი ბრწყინვალის ძე, რომელიც მეფობდა სრულიად საქართველოში მეთოთხმეტე საუკუნის შუახანებში, თუმცა იგი არც იმას გამორიცხავდა, რომ პროლოგის მეფე დავითი, შესაძლებელია, ყოფილიყო მეფე დავით მერვე (კაკაბაძით – მეშვიდე), დიმიტრი თავდადებულის ძე, რომელიც მეცამეტე საუკუნის დასასრულს მეფობდა, მაგრამ იქვე მკვლევარი თავდაჯერებით უარყოფდა, – 1924 წელს გამოთქმული საკუთარი შეხედულების საწინააღმდეგოდ, – ტექსტისეული მეფე დავითის ვინაობის დაკავშირებას ქართლის მეფესთან, დავით მეათესთან:

ეს დავით მეფე, ჩვენის აზრით, უფრო უნდა იყოს მე-14 საუკუნის ნახევარში მცხოვრები საქართველოს მეფე დავითი, გიორგი ბრწყინვალის შვილი<sup>20</sup>;

ჩვენ გვგონია, რომ ეს შესხმა უფრო შეიძლება დაკავშირებულ იქმნას გიორგი ბრწყინვალის შვილის დავითის სახელთან, ვიდრე ქართლის მეფე დავით კონსტანტინეს ძესთან († 1526 წ.), რადგან უკანასკნელის დროს ქართლი იმდენად დასუსტებული იყო, რომ “სხვაგნით სამონოდ” მეფეების ამ დავითთან მოსვლაზე ლაპარაკი თუნდაც შესხმაში ძნელი იქნებოდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ შესხმა შეიძლება დაკავშირებული იქმნას როგორც გიორგი ბრწყინვალის შვილის დავით VIII-ის, ისე თითქმის ასეთივე უფლებებით დიმიტრი თავდადებულის ძის დავით VII-ის სახელთან უფრო მისი მეფობის პირველ წლებში, როდესაც მას ეჭირა მთელი ამიერი საქართველო. უკანასკნელ შემთხვევაში შესხმა მიეკუთვნებოდა მე-13 საუკუნის დასასრულსაც<sup>21</sup>.

20 ვეფხისტყაოსანი: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გვ. XI.

21 იქვე; მანამდე კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ “ვეფხისტყაოსნის” თავდაპირველი ავტორი იყო სარგის თმოგველი, მეცამეტე საუკუნის მიწურულში მცხოვრები პოეტი, ხოლო პოემის გამგრძელებელი – რუსთველი, მეთოთხმეტე საუკუნეში მცხოვრები პოეტი: “ვ.-ტყ.-სნის დაწერა უნდა მიეკუთვნოს 1250-1269 წელზე დაშორებულ დროს, მაგრამ არა უგვიანეს 1320 წლის ახლო ხანისა, [...] ვ.-ტყ.-სნის დაწერა მხარგრძელის შვილს სარგის თმოგველს უნდა ეკუთვნოდეს.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი, 1966 წელს, სარგის კაკაბაძემ კიდევ ერთხელ შეცვალა თავისი თვალსაზრისი ორსტროფედის თარიღისა და მასში მოხსენიებული მეფე დავითის ვინაობის შესახებ:

ამჟამად ცხადი ხდება, რომ პროლოგის ხსენებული ნართაული სტროფების დავით მეფე უნდა იყოს ლაშას შვილი ულუ-დავითი<sup>22</sup>.

მეფე დავითის გამორჩეული, განსაკუთრებული ქება, გამოთქმული პოეტის მიერ, რა თქმა უნდა, განპირობებულია საკარო პოეზიის პანეგირიკული მისწრაფებითა და სტილით, მაგრამ, ლოგიკურად, ამგვარი დახასიათება მაინც ვერ მიეძღვნებოდა სრულიად უძლურ, უუფლებო, უმოქმედო, დამცირებულ თუ დაძაბუნებულ მმართველს.

კიდევ მეტი, სასურველია გამეორება, რომ მეფე დავითის ხელისუფლება პროლოგის ორსტროფედში აღწერილია როგორც სამეფო და სახელმწიფოებრივი ძლიერების აღზევება. ამავე დროს, დავითი განსაკუთრებულადაა აღიარებული და დაფასებული მეზობელთა თუ არამეზობელთა მხრივ, სხვა ქვეყნების მეფეთა მიერ, რომელთათვისაც, პოეტის სიტყვებით, სანატრელი გამხდარა მისი ქვეშევრდომობა.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ამ მეფის მმართველობის ხანაში განსაკუთრებული კავშირები, ანუ სიახლოვე უნდა არსებულიყო რომის საყდართან ან, პირადად, რომის პაპთან<sup>23</sup>.

სარგისი პოემის ბოლოსიტყვაობაში იხსენებს დავით მეფეს, რომლისთვისაც მას მიუძღვნია თავისი ნაწარმოები. დავით დიმიტრი თავდადებულის ძე გამეფდა 1292 წლის დასაწყისში და მეფობდა [...] 1297 წელსაც. [...] სარგის თმოგველის როგორც ვ.-ტყ.-სნის დამწერის და დავით მეფის [...] დაკავშირება ერთმანეთთან შესაძლებელია 1292-1297 წლებში. ამ წლებში [...] უნდა იყოს დაწერილი პოემა ვეფხისტყაოსანი – სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, გვ. 155; “ვეფხისტყაოსნის გაგრძელების დაწერა რუსთველის მიერ შეიძლება მიეკუთვნოს 1320-1325 წლებს” – იქვე, გვ. 156; “პოემის ავტორად [...] სჩანს სარგის თმოგველი: თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ პოემის გაგრძელება დაუწერია რუსთველს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს პოემის წინასიტყვაობის ნართაული ტაბეები თამარ მეფის მოხსენიებით” – იქვე, გვ. 148; “ეს თამარი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის მეფის კონსტანტინეს ქალი და გიორგი მცირეს ცოლი” – იქვე, გვ. 164; კიდევ უფრო ადრე, 1913 წელს, “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის ამ ორსტროფედისაგან სრულიად დამოუკიდებლად, “ვეფხისტყაოსნის” დაწერის თარიღს კაკაბაძე უკავშირებდა სხვა მეფე დავითსა და მეფე თამარს: “შოთამ დასწერა თავისი პოემა თამარ მეფის საქებ-სადიდებლად დავით მეფის ბრძანებით არა უადრეს მე-XIV საუკ. მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს მე-XV საუკ. ნახევრისა [...] მე-XV საუკ. დასაწყისში აფხაზეთ-იმერეთში მეფობდა თამარ მეფე. მისი თანამედროვე იყო დავით სომხითისა და მისი მიდამოების მეფე, რომელიც ტახტზე დაჯდა 1405 წელს. [...] შოთას სიტყვებიდან საფიქრებელია, რომ “ვეფხისტყაოსნის” გალექსვის ინიციატივას დავით მეფის მხრივ რომანიული სარჩული ედვა” – ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გვ. 50.

22 სარგის კაკაბაძე, *შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*, თბ.: განათლება, 1966, გვ. 17; თავის ამ გვიანდელ, შემაჯამებელ ნაშრომში რუსთველისა და “ვეფხისტყაოსნის” შესახებ მკვლევარი, საერთოდ, არც კი ახსენებს მეფე დავით მათეს.

23 სრულ “ვეფხისტყაოსანში”, ანუ პოემის ჩანართ-დანართებიან ვერსიაში დასახელებულია კიდევ ორი ქრისტიანი სასულიერო პირი, – მღვდელმთავარი,

ამიტომ, ხოტბა-შესხმის ნამდვილი ობიექტის დასადგენად და, შესაბამისად, ამ ორსტროფედის დასათარიღებლად საჭირო ხდება თვალის გადავლება ყველა იმ მეფის ვინაობისათვის, ვისაც “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის დაწერის დროის ახლო-მახლო ერქვა დავითი, – მეთორმეტე საუკუნიდან (რომლითაც ტრადიციულად თარიღდება მთელი “ვეფხისტყაოსანი”) მეჩვიდმეტე საუკუნემდე (რომლითაც თარიღდება პოემის უძველესი ხელნაწერი, სადაც დაცულია ორსტროფედი).

რამდენადმე მაინც, მეფის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა ისტორიულად მეტ-ნაკლებად ცნობილი მოვლენები, რომლებიც საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელთა შორის სხვადასხვა მეფე დავითს უკავშირდება.

წინასწარვე შესაძლებელია გაცხადდეს, რომ დროის ამ მონაკვეთში სრულიად საქართველოს ან ქართულ სამეფოთა მეფეთაგან, რომლებიც დავითის სახელს ატარებდნენ, თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობით, მნიშვნელობითა და გავლენით გამორჩეულია მეფე დავითი მეათე.

სარგის კაკაბაძის მეტად გაკვრით მინიშნებული ვარაუდისაგან დამოუკიდებლადაც (თანაც გასათვალისწინებელია, რომ მკვლევარმა მალე თავადვე უარყო თავისი შეხედულება), ისტორიულ წყაროთა შესწავლის შედეგად, სავსებით შესაძლებელია, ითქვას, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის ორსტროფედში ლაპარაკია სწორედ მეფე დავით მეათისა და არა რომელიმე სხვა დავითის შესახებ. ღირსშესანიშნავია, რომ, – სხვა დავითთა მეფობისაგან განსხვავებით, – სწორედ დავით მეათის დროს ქვეყანა განუწყვეტილ იბრძვის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, რამდენადმე წამოდგება კიდევ ფეხზე, ცდილობს ძალის მოკრებას, – პოლიტიკურადაც, ადმინისტრაციულადაც, სამხედრო თუ სამეურნეო თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, რაკი მეფე დავით მეათის მეუღლის სახელი იყო თამარი, სრულიად შესაძლებელია, რომ პროლოგში ნახსენები თამარი სწორედ მის თანამეცხედრეს გულისხმობდეს ან უკავშირდებოდეს.

---

ოლონდ ამჯერად ადგილობრივი, ქართული გარემოდან: “კათალიკოს-მაწყვრელი”, ანუ (საქართველოს) კათალიკოსი და აწყურის ეპისკოპოსი. ისინი მოხსენიებულია ეგრეთ წოდებულ “ინდო-ხატაელთა ამბავში” (სტრ. 1916) – შოთა რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი*: დანართებიანი და ჩანართებიანი ტექსტი, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, გვ. 386; ამ ტიტულების მოხსენიების, მნიშვნელობისა და მათი მეშვეობით პოემის შესაბამისი მონაკვეთის ავთენტიკურობისა თუ დათარიღების შესახებ – საკითხის მიმოხილვა: ალექსანდრე ბარამიძე, *შოთა რუსთველი*, თსუ-ს გამ-ბა, 1975, გვ. 413-416; შემდგომი გამოკვლევები: პროკოფი რატიანი, *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, [I], თბ.: მერანი, 1975, გვ. 38-41, 324-329, 364-366, 399-401, 432; შერმადინ ონიანი, *ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში*, თბ.: მეცნიერება, 1982, გვ. 143-163; პროკოფი რატიანი, *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, II, თბ.: მერანი, 1987, გვ. 123-124.

დავით მეათის ვინაობის, მისი მეფობის, მისი საქმიანობის შესახებ უპირიანი იქნება ციტირება მისი ხელმწიფობის მოკლე აღწერიდან, რომელიც ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის:

1505-1525 წლებში ქართლში მეფობდა დავითი. მის დროს ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია მოხდა. ქვეყანა დაყოფილი იქნა ოთხ ნაწილად. თითოეულ ნაწილს სადროშო ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს “დროშას” ქმნიდა. [...]

დავითის დროს ჯერ კიდევ გრძელდება ბრძოლა ქართველ მეფე-მთავრებს შორის. ქართლის მეფემ ტყვედ ჩაიგდო გიორგი კახთა მეფე, მოკლა ის და თვითონ დაიჭირა კახეთი, მაგრამ საბოლოოდ მან ეს ქვეყანა ვერ შემოიბტკიცა. [...]

1518 წელს ირანის შაჰი დიდის ლაშქრით საქართველოსკენ წამოვიდა. მეფე დავითმა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სცადა. შაჰს შვილი მიუვლინა ელჩად. მორჩილებას შეჰპირდა და ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმში გადაუკვეთა. შაჰისათვის ეს პირობები მისაღები იყო. ის ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად მიდიოდა და საქართველოს უფრო მტკიცედ დაპყრობა მერმისისათვის გადაედო. ქართლის მეფის საქმეთა გართულებით კახეთის თავადებმა ისარგებლეს, აჯანყდნენ და უფლისწული ლევანი მეფედ დასვეს. დავით მეფე ისევ მოვიდა კახეთს და ხანგრძლივი ბრძოლით დაიპყრო ქვეყანა. [...]

როცა ოსმალები შიდა ქართლს მოვიდნენ, დავით მეფე კახეთში იყო. დავით მეფე იძულებული გახდა, ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო. მან დაამარცხა ოსმალთა მოთარეშეები და ქართლიდან გადარეკა ისინი. ამ ბრძოლიდან მობრუნებული დავითი კვლავ კახეთს გაეშურა. ლევან მეფე მზად დახვდა მას ქიზიყში. დავითის მხარეს ამ ბრძოლაში ზოგი კახელიც იყო. მიუხედავად ამისა, გამარჯვება ლევანს დარჩა. ეს იყო 1520 წელს. დავითი ამის შემდეგაც ფიქრობდა ომის გაგრძელებას, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარ დარბაისელთა რჩევა მიეღო: შერიგებოდა შექმნილ მდგომარეობას, ეცნო ლევანი კახთა მეფედ და შეეკრა მასთან გარეშე მტერთან საერთო ბრძოლის კავშირი. ასეც მოხდა (1520 წ.).

ქართველებმა ისარგებლეს ოსმალთა მიერ შაჰ-ისმაილის დამარცხებით და მისი მოხარკეობისაგან თავის გათავისუფლება სცადეს. ამ დროს მათ დევნა აუტეხეს აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში შემოსახლებულ თურქმანებს. [...] ქართველები კარგად იყვნენ მიმხვდარი მტრების განზრახვებს და თავგამოდებით იბრძოდნენ. არაერთგზის მოთხარეს და მიწასთან გაასწორეს ქართველებმა მტრის მიერ აგებული [...] ციხეები, არაერთგზის გასწყვიტეს, აჰყარეს და გადარეკეს ქციისა და დებედის ჭალებში ჩამოსახლებული თურქმანული ურდოები. [...]

დავითი ამასობაში საომრად მოემზადა. ქართლის საშველად მოვიდნენ მესხნი და კახნი. ქართველების გარდა დავითმა ლაშქარი დაიქირავა კავკასიის მთიელებისაგან.

მეფე მთელის ლაშქრით გავიდა თელეთს (1552 წ.). ქართველებმა დაამარცხეს ირანელთა ორი რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმხნე გამოიჩინა დავით მეფის შვილმა ლუარსაბმა. ირანელთა სიმრავლემ სძლია და ლტოლვილი მეფე შიდა ქართლში შემოვიდა. ირანელთა ზინი ისეთი დიდი იყო, რომ დავითი თავს საბოლოოდ დამარცხებულად არ სთვლიდა. ის გამალებით აგროვებდა ჯარს შემდეგი ბრძოლისათვის. მაგრამ მის წინააღმდეგობას ლალატმა წელი მოსტენა. თბილისის ციხე შიგნიდან გატყდა. ციხის თავმა შაჰ-ისმაილისაგან ქრთამი აიღო და მტერი ქალაქში უბრძოლველად შემოვიდა. შაჰმა გაძარცვა ქალაქი, მრავალი დაატყვევა, ციხეში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. ნატყვენავ-ნალაფევით შაჰი ირანს გაბრუნდა. დავითი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ირანის შაჰის მიერ დატოვებულ მომთაბარე თურქმანებს მუსრს ავლებდა. არც თბილისს უსვენებდა მეფე და მუდამ მის ალებას ცდილობდა. შაჰ-ისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა. მას მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩა. ქართლის მეფემ ამით ისარგებლა, ეკვეთა დამპყრობელთ. აიღო თბილისი და მეციხოვნე ყიზილბაშები სულ გასწყვიტა. ჩქარა აიღო ალჯაყალაც, მოთხარა ის, და იქ ჩამოსახლებულ თათრებს მწარე დღე გაუთენა<sup>24</sup>.

რაც შეეხება დავით მეათის მეუღლეს, დედოფალს ერქვა თამარი, რასაც ადასტურებს როგორც მათი ვაჟის მოგვიანო სამეფო სიგელი<sup>25</sup>, ისე ბატონიშვილ ვახუშტის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”.

თავად ვახუშტის ნაშრომში საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი ეძღვნება დავით მეათის მეფობის წარმოჩენას, ხოლო ისტორიკოსისეული თხრობიდან საყურადღებოა ზოგიერთი დახასიათება, რომელიც მკაფიოდ ხატავს დავითის როგორც სამეფო, ისე პიროვნულ თვისებებს:

24 ნიკო ბერძენიშვილი, “საქართველო XI-XVIII საუკუნეებში”, წგ-ში: ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი VI, თბ: მეცნიერება, 1971, გვ. 151-153.

25 ივანე ჯავახიშვილი: “დავით მეფის თანამეცხედრის სახელი გამოქვეყნებულს მის საბუთებში არ იხსენიება, მაგრამ მისი შვილი ლუარსაბ მეფე თავის ერთს სიგელში დედის სახელს გვამცნებს. 1552 წ. თბილისის სიონის სიგელში (N 104) მას ნათქვამი აქვს: „მფარველ გვექმენ ჩვენ... მეფეთ-მეფესა ლუარსაბს და დედასა ჩუენსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს“-ო” – ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეოთხე, თბ: თსუ-ს გამ-ბა, თბ.: 1948, გვ. 210 (“ქართველი ერის ისტორიის” ეს ნაწილი არაა შესული ნაშრომის ბოლო გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულში – 1976-1998); შდრ. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, IV: XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი/საქართველოს ეროვნული არქივი, 2016, გვ. 213.

შემდგომად კოსტანტინე მეფისა დაჯდა უზუცესი ძე მისი დავით მეფედ. ამან შემოიკრიბნა კათალიკოზი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და ეკურთხა ტფილისს მეფედ. არამედ ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშვედობასა. ამან დაიპყრა ქუეყანა, რომელი დაეტევა მამისა თვისისაგან და განაგებდა კეთილად და მშვედობით<sup>26</sup>;

ხოლო ყვენმან მიუწოდა მეფესა წინაშე თვისსა: “მოგცე ნიჭი დიდი, ქუეყანა და განგიტეო მშვედობით.” არამედ ვინაფთგან ატევებინებდა ყენი ქრისტესა და ჰყოფდა მაჰმადიანად, ამისთვის არა ინება მეფემან მისლვა. განა მოიცა ძალი მესხთა და კახ-ბატონის ლევანისაგან. კუალად გამოიყვანნა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა ტფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი<sup>27</sup>;

მერმე მოადგა მეფე დავით ტფილისს, აღიღო იგი, მოსრნა ყიზილბაშნი, კუალად აღიღო აღჯაყალა, შემუსრა იგი და განასხნა თათარნი და დაიპყრნა საზღვარნი თვისნი ყოველნი. შემდგომად ამისა განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლე და უსუეობა თვისი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონოზონ, და დაშინენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაგან: ლუარსაბ, დემეტრე და რამაზ. არამედ მისცა მეფობა ძმასა თვისსა გიორგის და თვთ დავით მეფე შევიდა ტფილისსვე მონასტერსა შინა და შემდგომად მოკუდა მონაზონი წელსა {1525}<sup>28</sup>.

სხვათა შორის, ბოლო კვლევით, მეფე დავითი ტახტიდან გადამდგარა და მონაზვნად აღკვეცილა<sup>29</sup>, – დამიანეს სახელით, – სიცოცხლის მიწურულს, 1525 ან 1526 წელს<sup>30</sup>.

სხვა წყაროთაგან, “ახალი ქართლის ცხოვრების” გადაკეთებული ვერსია მეფე დავით მეთათეს ადარებს ბიბლიურ წინამორბედს, – ბიბლიურ მეფე დავითს (რომელთანაც მას აკავშირებს პროლოგის

26 ქართლის ცხოვრება, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 392; შდრ: “და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი, მშვიდი და მოშიში ღმრთისა” – ახალი “ქართლის ცხოვრება”: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2020, გვ. 27; “და მეფობდა ქართლსა ზედა მეფე დავით, კაცი მშვიდობისმყოფელი და სათნო ღმრთისა” – იქვე, გვ. 165.

27 იქვე, გვ. 397-388.

28 იქვე, გვ. 399.

29 ივანე ჯავახიშვილს კითხვას ან დაეჭვებას უჩენდა, თუ საიდან იცოდა ბატონიშვილმა ვახუშტიმ მეფე დავითის შემონაზვნების მიზეზი: “არ ჩანს, საითგან აქვს სახელოვანს ქართველს მეცნიერ-ისტორიკოსს ცნობა, რომ დავით მეფის შემონაზვნების მიზეზი მისი „უსვეობა“ იყო” – ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, გვ. 244.

30 “დავით X შემონაზვნდა 1525 წლის ბოლოს ან 1526 წლის დასაწყისში და მალევე გარდაიცვალა” – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 100; “ბერობაში მყოფი მეფე დავითყოფილი დამიანე აღესრულა ქ. თბილისს 1526 წელს” – საქართველოს მეფეები, თბ.: ნეკერი, 2007, გვ. 178.

ორსტროფედიც, სადაც მოხსენიებულია მისი, როგორც ბაგრატიონის, დავითიანობა):

არამედ მეფემან დავით არა ინება [ბრძოლა კახთა მეფის გიორგის წინააღმდეგ], რამეთუ მგავსად სეხნად სახელისა მისისა დავითისებრ მშვიდ იყო და არა შურისმაძიებელ, ვითარცა-იგი საულისთუის მშვიდ იყო<sup>31</sup>.

კიდევ, “ცხოვრება საქართველომსა” (ანუ “პარიზის ქრონიკა”) შესამჩნევად აღნიშნავს მეფე დავითის ღვაწლს და ამ ღვაწლის მასშტაბებს ქრისტიანობის თუ ქრისტიანული სამყაროს გადასარჩენად:

პატრონმან მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყაენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო<sup>32</sup>.

მნიშვნელოვანია არაერთი შემორჩენილი სიგელი, რომლებიც გაცემულია მეფე დავითის სახელით.

განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია, თუ როგორ მოიხსენიებს დავით მეათე საკუთარ სამეფო ტიტულს სახელმწიფოს მმართველობისას, – იმგვარადვე, როგორც სრულიად საქართველოს მეფენი ქვეყნის იმპერიული ხანისას:

ყოველთა ღმრთისა წმიდათა მინდობილმან, მეფეთამეფემან პატრონმან დავით [...], ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანჰა და შაჰრვანშა, და ყოველისა ჩრდილოეთისა, აღმოსავალით ვიდრე დასავლამდე თუით მტკიცედ კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან<sup>33</sup>.

ამასთანავე, მეტყველი და შთამბეჭდავია მეფეყოფილის სიტყვები, დაწერილი მონაზვნობისას, მიმართული ღმრთის მიმართ, აღბეჭდილი სვეტიცხოვლის ტაძრის შეწირულების სიგელში:

მე, მსასობელმან შენდა მომართ და მონდობილმან ცვა-ფარვათა შენთამან, შენ მიერ შემოსილმან პორფირითა და გუირგუინითა სამეფოთა, და აწ, შენ ძლითვე ღირსქმნულმან სახესა მონაზონებისა, დავით ბაგრატიონიანმან, ნებითა ღმრთისათა მეფემან ქართველთამან და აწ, მონაზონმან დამიანე, ვიგულვე და ვიგულსმოდგინე თქუენდა მომართ მცირედი ესე მოსაკსენებელი ცოდვილისა სულისა ჩემისა<sup>34</sup>.

31 ახალი “ქართლის ცხოვრება”: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი III, გვ. 166.

32 ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ: მეცნიერება, 1980, გვ. 41.

33 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 24.

34 იქვე, გვ. 101.

ყურადსაღებია, რომ სიგელში მეფეყოფილ-მონაზონი დავით-დამიანე წმიდა პეტრეს, განსხვავებით ბიზანტიურ-აღმოსავლური ტრადიციისაგან, მოიხსენიებს მოციქულთა შორის პირველწოდებულად:

პეტრე რიტორისა და სასუფევლისა კლიტემპყრობელისა და პირველწოდებულისა<sup>35</sup>.

ასევე, საჩინოა მეფის მიმართვა წმიდა ქალწულის მარიამის მიმართ, აღბეჭდილი ტფილისის სიონის ტაძრის შეწირულების სიგელში:

ჩუენ, ცვა-ფარვათა თქუენთა მონდობილმან და შეწუნისა თქუენისა მსასოებელმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონიანმან, საქართველოს მპყრობელმან მეფეთამეფემან დავით<sup>36</sup>.

კიდევ, დავით მეათე თავის სამეფო სიგელებში, რომლებიც 1519 და 1520 წლებით თარიღდება, ყოველ ჯერზე მოიხსენიებს ხუთი პატრიარქის მადლს (“ხუთთა პატრიარქთა მადლითა”)<sup>37</sup> და ამ ხუთთა შორის, რა თქმა უნდა, პირველობა რომის ეპისკოპოსს, ანუ რომის პატრიარქს განეკუთვნება.

საგულისხმოა, როგორ მოიხსენიებენ მეფე დავით მეათეს მისი გარდაცვალების შემდეგ:

ღმრთივ გუირგუინოსანმან დიდისა მეფისა დავითისა ძემან, მეფეთმეფემან პატრონმან ლუარსაბ<sup>38</sup>;

ბედნიერისა და სახელგანთქმულისა კელმწიფისა, მეფეთმეფისა დავითის ძემან, პატრონმან მეფემან ლუარსაბ<sup>39</sup>;

ღმრთივგვირგვინოსნისა და ღმრთივდამყარებულისა მეფეთმეფისა დავითის ძემან, პატრონმან რამაზყოფილმან რომანოზ<sup>40</sup>.

35 იქვე; რომაულ-კათოლიკურ ტრადიციაში პეტრეს მეთაურობისა და ბიზანტიურ-აღმოსავლურ ტრადიციაში ანდრიას პირველწოდებულობის შესახებ – ქართული ტრადიციის გათვალისწინებით: მერაბ ლალანიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*, 5, 2013, გვ. 230-235 (ასევე: მერაბ ლალანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 31-38).

36 *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, IV, გვ. 25.

37 იქვე, გვ. 77, 83: ქართულ ისტორიულ საბუთებში – მეფე-მთავართა თუ კათოლიკოსთა სიგელებში – ხშირად გვხვდება ხუთი პატრიარქის დამოწმება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში უყურადღებოდ ტოვებდნენ რომისა და კონსტანტინოპოლის საყდართა განხეთქილებას, რომელმაც ყველაზე მკვეთრ გამწვავებას 1054 წელს მიაღწია.

38 იქვე, გვ. 184.

39 იქვე, გვ. 218.

40 იქვე, გვ. 302.



მიმოხილულის შემდეგ, დავით მეათესთან შეფარდებითად წარმოსაჩინად, საჭირო იქნება თვალის გადავლება ერთიანი საქართველოს თუ ქართლის ან კახეთის იმ მეფეთათვის, რომლებიც დავითის სახელს ატარებდნენ (ქრონოლოგიურ საზღვრებად, როგორც ითქვა, აღებულია უკიდურესი თარიღები, რომელზე ადრე ან რომელზე გვიან ვერანაირად ვერ დაიწერებოდა “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის განხილული ორსტროფედი)<sup>41</sup>.

შესაბამისად, შესაძლებელი გახდა, ითქვას, რომ პროლოგისეული მიძღვნის ობიექტი – მეფე დავითი ვერ იქნებოდა:

დავით მეხუთე (დემეტრე პირველის ძე, საქართველოს მეფე, 1155-1156), რომელმაც მხოლოდ ექვსი თვე იმეფა;

დავით მეექვსე, ნარინი (რუსუდანის ძე, საქართველოს მეფე, 1246-1259), რომელმაც ცხოვრების მოზრდილი ნაწილი ტყვეობასა და დევნილობაში გაატარა, ხოლო მისი მეფობა-თანამეფობა მუდმივი სამხედრო წარუმატებლობით იყო აღბეჭდილი; ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ დავითს, საკუთარ გამეფებამდე, სანამ იგი თანამეფე იყო დედასთან, მეფე რუსუდანთან, ერთად, 1240 წელს, მიუღია წერილი რომის პაპისაგან, გრიგოლ მეცხრისაგან, – თუმცა პაპისეული ეს მიმართვა პასუხია დედა-შვილის ერთობლივ წერილზე და, ფორმობრივ, პაპიც ისევ დედა-შვილს მიმართავს (მიუხედავად იმისა, რომ დავითს ამ დროს მეტად შეზღუდული უფლებები ჰქონდა)<sup>42</sup>;

დავით მეშვიდე, ულუ (გიორგი მეოთხის, ლაშას, ძე, საქართველოს მეფე, 1246-1270), რომელმაც თავისი მეფობის დიდი წილი ტყვეობასა და დევნილობაში განვლო;

(საერთოდაც, ორსტროფედი ცხადად განადიდებს შეუზღუდავ მმართველს, რომელსაც სხვა ხელმწიფენიც კი ემორჩილებიან, ხოლო ორივე დავითი, ფაქტობრივად, თანამეფენი იყვნენ და როგორც შიგნიდან, ისე გარედან შეზღუდულ ძალაუფლებას ფლობდნენ);

დავით მერვე (დემეტრე მეორის, თავდადებულის, ძე, საქართველოს მეფე, 1293-1311), რომლის მეფობის დროს, მასთან ერთად, მის გვერდით, ჩნდება რამდენიმე სხვა მეფეც, რომელთაც მონგოლები ანიჭებენ ძალაუფლებას და, მასთან შედარებით, უფრო მეტადაც აღი-

41 რაკილა წინამდებარე ნარკვევის მიზანი არანაირად არაა ჩამოთვლილ მეფეთა ქრონოლოგიის ზუსტი დადგენა, გამოყენებულია მათი მეფობის თარიღები, რომლებიც უმეტესად მიღებული და გაზიარებულია საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ, რისთვისაც ერთიან წყაროდ აღებულია: *საქართველოს მეფეები*, passim.

42 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფ., 1902, გვ. 12-13, 14-17; ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, [I]: (XIII-XVI სს.), გვ. 187-191; მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ.: კანდელი, 1995, გვ. 485-488.

არებენ საქართველოს მეფეებად; მისი მეფობა მთლიანად წარიმართე-ბოდა მონგოლებთან ურთიერთობის გადასაწყვეტად, – აჯანყებებსა და მორჩილებას შორის; მას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულთანთან, რომელსაც მოკავშირეობა აღუთქვა და, სანა-ცვლოდ, დაიბრუნა ჯვარის მონასტერი; ეს მოკავშირეობა ბუნებრი-ვად გამორიცხავდა მის მიმართ რამე კეთილგანწყობას რომის პაპის, ან თუნდაც, ფართოდ, დასავლური ქრისტიანობის წარმომადგენელთა მხრივ;

დავით მეცხრე (გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, ძე, საქართვე-ლოს მეფე, 1346-1360), რომლის შესახებაც წყაროები ბევრს არაფერს ამბობს და რომლის მეფობას თან სდევდა ქვეყნის მოსახლეობის გა-მანადგურებელი შავი ჭირის სნეულეობა; მის მეუღლეს ერქვა სინდუ-ხტარი; სხვათა შორის, შესაძლოა, გამოთქმულიყო ვარაუდი, რომ მის მმართველობისასაც გაგრძელდა მამამისისდროინდელი მკრთალი ურთიერთობა რომთან<sup>43</sup>, მაგრამ საბუთები ამ მხრივ სრულიად უტყვია;

დავით მეთერთმეტე (ლუარსაბ პირველის ძე, დავით მეათის შვი-ლიშვილი, ქართლის მეფე, 1569-1578), რომელიც შაჰ-თამაზ პირველს ეახლა ყაზვინში და ისლამი მიიღო, რის შემდეგაც მას დაუთ-ხანი ეწოდა;

დავით პირველი (ალექსანდრე მეორის ძე, კახეთის მეფე, 1601-1602), რომელმაც, ფაქტობრივად, ვერც კი მოახერხა, სამეფო მმართვე-ლობის ხელთ აღება, რადგან ტახტზე ასვლის ხანმოკლე მცდელობი-სასაც მას ისევ უწევდა ბრძოლა ხელისუფლების შესანარჩუნებლად;

(ჩამონათვალიდან, ბუნებრივია, გამორიცხულია დავით სოსლანი (+1206), მეფე თამარის (1184-1213) მეუღლე და თანამეფე, რომელიც არასოდეს ყოფილა ქვეყნის ერთპიროვნულად მმართველი ხელმწიფე).

ამდენად, როგორც ცხადად ჩანს, “ვეფხისტყაოსნის” პროლოგში მოხსენიებული მეფე დავითის ვინაობის გასარკვევად და, შებაბამი-სად, ორსტროფედის თარიღის დასადგენად, არსებულ მონაცემთა შო-რის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტში რომის პაპის მოხსენიებას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, დროის ამ მოზრდილ მონა-კვეთში ერთადერთი მეფე, რომელსაც დავითი ერქვა და რომლის გვერდით შესაძლებელი იყო დასახელებულიყო “პაპი ჰრომისა”, – საქ-რისტიანოს უზენაესი მღვდელმთავარი, ვისაც ძალუძს აღავლინოს იმგვარი წირვა, როგორსაც საჭიროებს ან იმსახურებს ქართველი

43 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 29-31.

ხელმწიფე, – არის მართლაც დავით მეათე. სამწუხაროდ, მისი პირდაპირი ურთიერთობის შესახებ რომის საყდართან არ შემორჩენილა ფაქტობრივი წყაროები, მოწმობანი ან მითითებანი, მაგრამ საბუთობრივ მყარად დასტურდება რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაურის უეჭველი და უშუალო კავშირები დავითის პაპასთან, გიორგი მერვესთან (1446-1466, 1466-1476); მამასთან, კონსტანტინე მეორესთან (1466-1478); შვილთან, ლუარსაბ პირველთან (1527-1556); შვილიშვილთან, სვიმონ პირველთან (1556-1569, 1578-1599/1600).

მიქელ თამარაშვილი წერს:

როგორც გიორგი მერვემ გამოიჩინა ერთგულება და ერთობა რომის ეკლესიისადმი, ისე მისი შვილიც კონსტანტინე მესამე<sup>44</sup> მამის კვალს გაჰყვა. რომის პაპს ალექსანდრე მეექვსეს (ვგონებთ, 1495 წ.) შესანიშნავი წერილი მისწერა და ელჩად გაუგზავნა ნილო მონაზონი რავდენსამე სხვა პირთან ერთად და გაატანა პაპისათვის ძღვენი. [...] პაპის პასუხიდან სჩანს, რომ კონსტანტინე მეფეს წიგნი მიუწერია და ელჩი გაუგზავნია უფროსიერთად ამისთვის: რათა პაპს განუცხადოს თავისი ერთგულება და მორჩილება, სთხოვოს დასავლეთის ხელმწიფეთა გალაშქრება ოსმალების წინააღმდეგ აღმოსავლეთის მთავრებთან ერთად და ეგრეთვე სთხოვოს პაპს ფლორენციის კრების გადაწყვეტილება რომის ეკლესიასთან ძველი ერთობის განსაახლებელ დასამტკიცებლად. ამას მოწმობენ ეგრეთვე ძველი მწერლებიც<sup>45</sup>.

მეტად საყურადღებოა ზოგიერთი მონაკვეთი პაპის, ალექსანდრე მეექვსის (1492-1503), წერილიდან მეფე კონსტანტინეს მიმართ (1496, ივლისის 10):

მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას [...]. დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით<sup>46</sup> და თქვენის მხედრობითურთ [...]. რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროა, ყველა ქრისტიანნი სარწმუნოების საქმეში შეუერთდნენ და დაემორჩილონ ეკლესიას რომისას, სადაც ქრისტე უფალმა და მისმა მოადგილემ პეტრემ მოციქულმა თავი და საყდარი დაადგინეს ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ უდიდესად მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას<sup>47</sup> მიაქცია ყურადღება და რაც

44 ამჟამინდელი ნუმერაციით, კონსტანტინე მეორე: *საქართველოს მეფეები*, გვ. 176-177.

45 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 64.

46 როგორც ჩანს, იგულისხმება მომავალი მეფე დავით მეათე.

47 “მართლმადიდებელი სარწმუნოება”, კათოლიკური თვალსაწიერიდან, – მათ

ამ სარწმუნოების წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან და სამოციქულო საყდრისაგან, რომელიც არის თავი ყოველთა ქრისტიანეთა, [...] თქვენს დიდებულებას გამოვუგზავნო სარწმუნოების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარხსენებული პაპის ევგენიო მეოთხის დროს იქმნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე<sup>48</sup> და რომელსაც მსოფლიო ეკლესია, თუ ლათინისა, თუ ბერძნისა, ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე [...]. ვინაიდან, როგორც ჭეშმარიტის ძისა მიერ ღვთისა იესო ქრისტესა ყველა შეერთებული ვართ, ეგრეთვე ვიყვნეთ შეერთებული, დავიცვათ მისი მცნებანი და მოძღვრება, რომელიც თავისი ნაცვლისა და მის მოსაყდრეთა მიერ გამოგვიცხადა<sup>49</sup>.

ასევე, მნიშვნელოვანია ალექსანდრე მეექვსის სადესპანო სიგელი, რომლითაც მან ოდნავ უფრო ადრე მიმართა ევროპის ხელმწიფეებსა და მმართველთ (1496, ივნისის 5):

პაპი ალექსანდრე VI, ყველას და თვითეულს და სხ. მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა ბასილის წესის მონაზონი, საყვარელი შვილი ნილო, რათა მოეძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანისცემა და ერთგულება<sup>50</sup>.

ნიშანდობლივია პაპის, პავლე მესამის (1534-1549), წერილი მეფე ლუარსაბ პირველის მიმართ (1545, ივნისის 17):

პავლე მესამე. ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს ლუარსაბს, ქართველთა ქალაქებისა და სამეფოს ბრწყინვალე მეფეს. [...] ბევრი სარ-

---

შორის, ქართულ წყაროებში, – ნიშნავს კათოლიკე ეკლესიის მოძღვრების რწმენას და რომის ეპისკოპოსის უზენაესობის აღიარებას: მერაბ ღალანდიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, გვ. 245-247 (ასევე: მერაბ ღალანდიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, გვ. 50-53).

48 ევგენი მეოთხე – პაპი, კათოლიკე ეკლესიის მეთაური (1431-1447); ფლორენციის კრება – ეკლესიის მსოფლიო კრება (1431-1449), რომელზეც დადასტურდა ეკლესიის ერთიანობის აღდგენა, ანუ თანაზიარება რომაული და ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა შორის, რომის ეპისკოპოსის – პაპის მეთაურობით.

49 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 64-66 (წერილის ორიგინალი: გვ. 598-600); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 516-517; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 217-219.

50 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 67 (წერილის ორიგინალი: გვ. 600); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 518; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 220.

წმუნო მოხსენებიდან შევიტყუეთ, რომ თუმცა ძრიელ შორსა ხართ, მაგრამ რომის ეკკლესიას სიყვარულით პატივს სცემთ და გულმხურვალედ აღიარებთ მას ყველა ეკკლესიების თავად; ეგრეთვე ქრისტეს ნაცვლად და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ გვცნობთ თუ ჩვენ და თუ რომის ეკკლესიის სხვა ჩვენ წინამოსაყდრე მწყემსებს. [...] იესო ქრისტემ, რომელმაც მოგანიჭათ ეგ სამთავრონი, სწორედ მანვე ჩააწვეთა თქვენს გულში ამ სარწმუნოების ნათელი, რათა გეცნათ წმიდა პეტრესი და რომის ეკკლესიის უპირატესობა. [...] ქრისტეს ამ ერთადერთ სამწყსოში ვნატრობთ თუ თქვენს და სხვათა ქართველთ მეფეების შემოსვლას თუ თქვენისა და თუ მათისა მთელის თქვენი ერის სულის საცხოვნებლად<sup>51</sup>.

იგივე პაპი, პავლე მესამე, წერს ნახჩევანის მთავარეპისკოპოსს, სტეფანეს, რომელსაც ამ წერილით ნიშნავს ნუნციუსად საქართველოს სამეფო-სამთავროებში (1546, ივნისის 30):

სარწმუნო მოხსენებიდან ვსცანით, რომ ქრისტესმიერი ჩვენი საყვარელი შვილი ლუარსაბ, ბაგრატ ქუთათელი, ლეონ ძანგამელი და ყვარყვარე ახალციხელი – ქართველთა სამთავროთა ბრწყინვალე მეფენი, სული წმიდის მადლის ჩაგონებით აღიარებენ ყველა ეკკლესიების თავად რომის წმიდა ეკკლესიას და ჩვენც და ყველა ჩვენს წინა მოსაყდრეთ რომის მღვდელმთავრებს გულმხურვალეობით და პატივისცემით გვრაცხენ იესო ქრისტეს მონაცვლედ და მოციქულთა მთავრის, წმიდა პეტრეს, მოსაყდრედ; გულით მოწადინებულნი არიან მართლად თავის ერთიერთ მიიღონ წმიდა კათოლიკე სარწმუნოება რომის ეკკლესიის ღოგმატების თანახმად<sup>52</sup>.

ღირსშესანიშნავია, როგორ მიმართავს პაპს მეფე სიმონ პირველი წერილში, რომელიც მხოლოდ ლათინური თარგმანის სახითაა შემორჩენილი<sup>53</sup>:

51 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 71-72 (წერილის ორიგინალი: გვ. 602-604); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 519-520; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბალუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 231-233.

52 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 74-75 (წერილის ორიგინალი: გვ. 604-605); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 521.

53 წერილში მითითებულია თარიღი: “1546 წელი, 9 ინდიქტიონი” – მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 78, თუმცა თავად გამომცემელს, მიქელ თამარაშვილს, ის არაზუსტად მიაჩნია: “ეს წერილი უნდა იყოს გამოგზავნილი 1596 წ. და არა 1546 წელს, როგორც აქ გადამბეჭდავს დაუწერია” – იქვე, გვ. 607; შემდგომ მკვლევარმა ისევ შეცვალა წერილის დათარიღება: “უნდა იყოს 1578 წელი, სიმონ I-ის სპარსელებისაგან გათავისუფლების შემდეგ” – მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 524.

სიმონ, წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა. ყოვლად მალალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნალარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულს ორლანო, პეტრეო მსაჯულს და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელს, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამალდა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულისა რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს წმიდა მარჯვენასა<sup>54</sup>.

მოგვიანებით, პაპი კლიმენტი მერვე (1592-1605) წერილით ეხმინება მეფე სიმონ პირველს (1598, აპრილის 1):

შენმა წერილმა, რომელიც გამოგვიგზავნე [...], მოგვანიჭა გამორჩეული სიხარული. მისგან გავიგეთ შენი დიდსულოვნებისა და შენი სიმტკიცის შესახებ კათოლიკურ სარწმუნოებაში, რომელსაც აღიარებ [...]. და, როგორც კათოლიკე ხელმწიფე, ღმრთის და ნეტარი პეტრეს სადიდებლად, შენ მიაგებ პატივსა და მორჩილებას ჩვენს სიმდაბლეს, როგორც ამას იქმს ყველა კათოლიკე ხელმწიფე და მთავარი; ხოლო რომის წმიდა ეკლესიას, სარწმუნოების მასწავლებელსა და როგორც შენი, ისე ყოველი მორწმუნის დედას, ეთაყვანები ღმრთისმოსავი სიყვარულით, რადგან აქ სუფევს მოძღვრების მსხნელი უბიწოება, აქ არის დაცული სარწმუნოების ძვირფასი საგანძური, გადმოცემული ქრისტეს მიერ<sup>55</sup>.

შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის დასაწყისში რომის პაპის ხსენება განპირობებულია საქართველოს იმდროინდელი რელიგიური გარემოთი – მჭიდრო კავშირებით კათოლიკე ეკლესიის მეთაურის საყდართან, განსაკუთრებით, მეფეთა გიორგი მერვის, კონსტანტინე მეორის, ლუარსაბ პირველისა და სვიმონ პირველის დროს, ხოლო თავად ქება ეძღვნება მეფე დავით მეათეს, პირველის – შვილიშვილს, მეორის – შვილს, მესამის – მამას, მეოთხის – პაპას.

54 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 76 (ლათინური ტექსტი: 605-607); *ქართული ეკლესია...*, გვ. 522-523.

55 ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 228-229 (წერილის ორიგინალი: გვ. 295-297); ზემორე მოყვანილი ტექსტი თარგმნილია ლათინურიდან ნარკვევის ავტორის მიერ.

ამდენად, პოემის პროლოგის ორსტროფედში გამოხატული მოწიწება რომის საყდრის მიმართ და რომის პაპის მიერ მეფისათვის წირვის აღვლენის გამოცხადება უმაღლეს სულიერ მისწრაფებად თუ დაჯილდოებად სავსებით შესაძლებლად ჩანს დავით მეათის მეფობისას.

“ვეფხისტყაოსნის” შესახებ ან მის ირგვლივ რამდენიმესაუკუნოვანი მსჯელობისას ხშირად წამოჭრილა, – და არც მთლად უმტკივნეულოდ, – საკითხი, თუ რამდენად უკავშირდება პოემა (ტექსტის როგორც თავდაპირველი, ისე ვრცელი, გვიანდელი ვერსია), მისი დაწერის გარემოებანი თუ ცალკეული მონაკვეთები, მისი იდეური თუ შინაარსობრივი განზომილება, მასში ჩადებული უწყება შესაბამისი ხანის, თავისდრონდელი საქართველოს ისტორიულ ვითარებას. პოემის პროლოგის ორი სტროფი, რომლებიც განადიდებს მეფე დავითს და, ამავე დროს, მის სახელს უკავშირებს რომის პაპს, იმჟამინდელი ისტორიული გარემოს ასახვის ერთი მცირე, მაგრამ ნამდვილად ცხადი და მეტყველი გამოხატულებაა.

## აბსტრაქტი ABSTRACT

**Merab Ghaghanidze**  
*The University of Georgia*

### **The Pope of Rome – a Desirable Celebrant of the Mass for King Davit – in the Prologue of the Poem “The Man in the Panther’s Skin”**

The text of the famous Georgian poem “The Man in the Panther’s Skin” arrived to us in the present day through relatively different versions, preserved in numerous manuscripts. Respectively, numerous differences can be found in the prologue of the poem (a final version of which has not yet been established), as presented in those various manuscripts.

The prologue of the poem in several old manuscripts contains two stanzas dedicated to King Davit, whose identity has yet to be determined, although several opinions have been expressed – e.g. by Sargis Kakabadze – as to who he might be.

In the two stanzas, the king is portrayed as a very powerful and influential monarch, to whom even the neighboring monarchs submit. The author of the poem also presents a local monarchical legend, according to which the Georgian king is a descendant of the biblical King David. The poet also opines that a holy mass should be celebrated by the Pope in the name of the king.

A scrupulous analysis has allowed me to advance the supposition that the King Davit of the prologue of the poem is King Davit X (1505-1525) of Kartli, who considered himself the King of All Georgia. The statement that it is necessary for a mass in the name of the king to be celebrated by the Pope takes its basis in the close relationship of Georgia with the Roman See, which became especially intense during the reign of King Davit's grandfather Giorgi VIII and his father Konstantine II, and continued during the reign of Davit's son Luarsab I, and his grandson Svimon I. Some documents about King Davit himself, of which there are few, also support the supposition that King Davit of the prologue of the poem “The Man in the Panther’s Skin” was indeed King Davit X.